შიკრიკი

ცალკე ნომერი ეღირება 3 კაპიკი.

ქუთაისი

სამშაბათი, 18 ივლისი.

1906

წელიწადი პირველი.

№ 8. ყოველ-დღიური საზეთი № 8.

პოლტავაში ხალხი და ჯარის ერთი ნაწილი პოლიტიკურ დამნაშავეთა გასანთავისუფლებლათ წავიდენ, ჯართან შეტაკება მოუხდათ.—პეტერბურგში რევოლიუციონური გზით 150,000 ცალი ყოფილი დეპუტატების მანიფესტი დაბეჭდეს.—სტავროპოლში 4 მატროსს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.—გეიდენი, სტიხოვიჩი და ლვოვი სამინისტროში შედიან.

1906 წლის 9 ივლისიდან ვამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„შიკრიკი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., ცალკე № 3 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერზე პწკარი პეტიტით 15 კ. მეოთხეზე—10 კ.

რედაქცია მოთავსებულია ბალაჩვანის ქუჩაზედ, ალ. მხეიძის სახლებში № 5.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ редакція „Шикрики“

ქ. ქუთაისში

20 იგლისიდან ქალაქის ბაღში (ბულვარში)

იხსნება ვ. გაღილიას

წიგნის მაღაზიის

ვანყოფილება

შეიძლება შეძენა ყველა თანამედროვე რუსული და ქართული წიგნებისა.

გ ა თ უ მ შ ი

სიკვდილის შემთხვევის დროს საურთ.-დამზღვევი საზოგადოების ვექილი

ვერასიმე ლუკ. კვერგელიძე

იმყოფება პეტერბურგისა და მოსკოვის ქუჩების ყურეში, სადაც მსურველთ შეუძლიათ მიმართონ დასაზღვევად.

მიტროფანე ლაღიძემ, გადასწყვიტა თავის ცნობილ ქარხანას უფრო მეტი და ფართო სამრეწველო ხასიათი მასცეს, ამ მიზნით იგი აარსებს

ამხანაგობას

ხელოვნურად შემზადებული მადნეულის-ხიდეულის წყლის, ყინულის ქარხნებისა და ელექტრონის სადგურისას ქ. ქუთაისში.

სახელ-წოდებით „მ ი ტ რ ო ფ ა ნ ე ლ ა ლ ი ძ ი ს და ამხ.“

მიზანი ამ ზემოხსენებული ამხანგობისა არის:

1. შეიძინოს მიტროფანე ლაღიძისაგან მისი საკუთარი მინერალური-ხიდეულის წყლის და ყინულის ქარხნები და ელექტრონის სადგური სრული ინვენტარიით, მასალითა და საქონლით, რაიცა საჭიროა ზემოხსენებული ქარხნების და ელექტრონის სადგურისათვის; შეიძინოს აგრეთვე უფლება ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საიჯარო მიწაზე ლაღიძის მიერ აგებული ქვიტკირის შენობებზე მოიჯარადრის სრული უფლებებით და ფართო ექსპლოატაცია უფოს ზემოხსენებულ სამრეწველო დაწესებულებას.

ოპერაციების გასაფართოებლად და წარმოების გასაადვილებლად ამხანაგობა საჭიროების მიხედვით, ხსნის განყოფილებებს, როგორც ქუთაისში, ისე სხვა ქალაქებსა და ადგილებშიც. ამხანაგობის კაპიტალი (თანხა) ჯერჯერობით განი.აზღვრება 70,000 მანეთით, რომელიც დაყოფილია 700 წილათ (პაით) თითეული პაი ღირს 100 მანეთი.

ამხანაგობის დამაარსებელმა თავის პირველ-კრებაზე, რომელიც შესდგა 25 ივნისს 1906 წ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში, ბ. ვ. ი. ჭალაძის თავმჯდომარეობით და ნოტარიუსი ბ. ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით განიხილეს ამხანაგობის ხელ-შეკრულების პირობა (წესდება), რომელიც შესდგება სამოცი მუხლისაგან შეასწორეს ზოგიერთი მუხლები და შემდეგ ერთხმად მოწონებულ და მიღებულ იქმნა იქ დამსწრე ქუთაისის ვაჭრების კრებისაგან. კრებამ აირჩია ამხანაგობის დამაარსებელი კომისია, შემდეგ პირებისაგან: ვ. ი. ჭალაძე, ფარნა ბეჟანის-ძე გაბუნია, ფილიპე სამანის ძე ფილიპოვი, რაჟდენ ყარამანის-ძე დათეშიძე, ტ. გგეულსიანი, ფილიპე ნიკოლოზის-ძე ჭელიძე, სიმონ იაკობის-ძე თეგდორაძე, პეტრე იოსების-ძე გოკიელოვი, ნიკიფორე მოსეს-ძე ჯანელიძე და მიტროფანე ლაღიძე.

ვინც მოისურვებს ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებას სრულ ამხანაგათ ანუ მხოლოთ პაის შეძენით, ყოველ-გვარ ცნობებს და ხელ-შეკრულობით პირს მიიღებენ ამხანაგობის დამაარსებელ კომიტეტის ერთ ერთი წევრისაგან, ამხანაგობის დამაარსებელნი და პაის მყიდველნი პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ და მარტო იმ ფულით, რაც შეტანილი ექმნებათ წილის ფასად.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

30 სექტემბერს წასრულ წელში დაკარგე

ჩემოდანი

„გრანდოტელის სასტუმროდან, რომელშიც იყო შემდეგი ჩემთვის საჭირო ქაღალდები:

ამხანაგობა „ბ ე ო ლ ბ ი ა-“ს ხელშეკრულობა, პირობები და კანტრაკტები, კვიტანციები, ნიუირკის საზოგადოების პოლისი და პრემიის კვიტანციები, 2 ბილეთი საწვრო ფულისა ბათუმის და თბილისის ბანკებისა, 1 პაი კოლხიდის ამხანაგობისა, რამდენიმე ხელნაწერი ჩემი თხზულებისა ოსმალეთის ცხოვრებიდან და ვექსილები. როგორც ამ ჟამად ვიცი, ის ჩემოდანი მეორე დღესვე უნახავს ვიღაც პატიოსან კაცს გაჭრილი, გაუსინჯავს და ყველა ეს ქაღალდები უპოვნია, ამოუღია მხოლოდ ვექსილები და ჩემოდანი კი საბაევისა და ლაღიძის დუქნებს შვა ბულვარის პირდაპირ დაუგდია როგორც სჩანს შეშინებია, ვექსილები კი მე გამომიგზანა. ამისთვის ვსთხოვ იმ ჩემოდანის მპოვნელს: მომიტანოს ზემოდ მოხსენებული ქაღალდები, რომელიც მისთვის არაფრად ღირს და თუ ყველას მომიტანს ათ თუმანს საჩუქარს მივართმევ. თუ ყველა აღარ ჰქონდეს და მხოლოდ სამი ნაჭერი: ამხანაგობის ხელშეკრულობა ჩემი ხელშეკრულობა და ჩემი ხელნაწერები—ესენი მომიტანოს და ორმოცდაათ მანთს მივართმევ.

ჩემი ადრესი. მ ი ტ რ ო ფ ა ნ ე ლ ა ლ ი ძ ს თ ა ნ ი ა ს ე რ ა ჭ ვ ე ლ ს. 5—1

ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა

ოთხ-ოთახიანი სახლი

ქუხნით, სარაიით, ბალკონით და ვებერთელა ეზოთი. გეგუთის ქუჩაზე კახაბერის შესახვევში. დაწვრილებით ცნობისთვის მიმართეთ პატრონს მიხეილ აბესაძეს, გეგუთის და ორპირის ქუჩის კუთხეში. ღვინის საწყობში.

ქუთაისი, 18 ივლისი.

რედაქცია ამუშავდა. განუწყვეტლივ იჭერენ და ხურავენ გაზეთებს; ატყვევებენ: რედაქტორებს, რევოლიუციონერებს; ყველგან ხურავენ კრებებს; ხურვენ კლუბებს და საზოგადოებებს. დამსჯელი რაზმები რკინის გზებზე დგანან, მზათ არიან წავიდენ პირველ ბძანებისამებრ. გენერალ-გუბერნატორები ბრძანებას ბრძანებაზე ცემენ, კრძალვენ კრებებს. მოწინააღმდეგეს იარაღით ემუქრებიან. კვლავ დგება სუსხიანი ზამთრის თვეები: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი. კიდევ ჯურღმული, კიდევ ძველებურათ იატაკ ქვეშ მუშაობა. უნდა ვიფიქროთ რეაქცია თანდათან გაძლიერდება, რადგან ხალხი არ აასრულებს მეფის მამაშვილურ დარიგებას: დაწყნარდით, დამშვიდდით და ყველაფერი მოგეცემათო. წინაამდეგ შემთხვევაში მთელი სახელმწიფო ძალები ხმარებულნი იქნებიან არსებული კანონების და წესწყობილების დამრღვევთა მოსაგონიერებლათო. მაგრამ მამაშვილური დარიგება არ ჭრის. ის არავის ჯერა. მწარე ტკივილები თავს ველარ იმალვენ და საქვეყნოთ დახმარებას მოითხოვენ, მაგრამ დამხმარე არსაიდან არის და თვით გაჭირვებულნი იძულებულნი არიან თავის თავს დაეხმარონ. ამიტომ რეაქციასთან ერთათ რევოლიუციაც ძლიერდება. ბლეხების მოძრაობა არ წყნარდება, ის უფრო და უფრო მწვავდება და საშიშარი შეიქნება რეაქციისათვის, როდესაც ბლეხების დეპუტატები შინ დაბრუნდებიან და ამომრჩევლებს გადაცემენ მეფის მთავრობის მოქმედებას, მის განზრახვებს. რომ კამარილიას არ სურს ხალხისთვის არც მიწა და არც თავისუფლება; ბლეხების მოძრაობის გაძლიერება ხელს შეუწყობს 183 დეპუტატის მანიფესტი, რომელიც ურჩევს ხალხს არ მიცეს მთავრობას არც ერთი გროში და არც ერთი სალდათი. მთავრობა ძალას დაადგება და აქ მოსალოდნელია დიდი შეჯახება. არ წყნარდებიან მუშები: მიტინგები მიტინგებზე იმართება, ძალით შედიან სტამბებში შეიარაღებულნი, იჭერენ სტამბის მეპატრონეთ და ბეჭდვენ ყოფილი დეპუტატების მანიფესტს: იაროსლავში 5000 ცალი დაბეჭდეს, პეტერბურგში 150000 ცალი, დიდ ქალაქებში კვლავ აარსებენ მუშათა დეპუტატების საბჭოებს. ამასთანავე ეკონომიურ კრიზისები ძლიერდებიან და უმუშევართა რიცხვს ემატება.

ამ გვარათ დღევანდელი პირობები მოგვაგონებენ ოქტომბრის თვეს: ერთ მხარზე დგას რევოლიუცია და მეორეზე რეაქცია. რევოლიუციონურ ხალხს თანაუგრძნობს ეგრედ წოდებული საზოგადოება და ზიზღით უყურებს დახავსებულ წესწყობილების ბურჯთ. ოქტომბერთან შედარებით რევოლიუციონურ ხალხის რიცხვი მეტად უფრო შეკავშირებულია ორგანიზაციულათ და ახლა უფრო მეტი შანსებია, რომ გლეხებში მოძრაობა მიიღებს ორგანიზაციულ ხასიათს, ეკონომ. მოთხოვნილებებს პოლიტიკურიც დაერთვის. რეაქციამ შეეცია ხალხს; ხალხი იძულებული გახდა ბრძოლაში ჩაებას და საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ბრძოლიდან ხალხი ბრწყინვალეთ გამარჯვებული გამოვა.

ახალი ამბები.

*** დღეს 16 ივლისს ქუთაისის საპყრობილეში მყოფ 25 პოლიტიკურ პატიმართ გამოუცხადეს გადასახლება ტობოლის გუბერნიაში უვადოთ ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე, რომელთაც 29 ივლისს აგზავნიან; აქვე მოგვყავს მათი სახელი და გვარი: თომა ჩიკვილაძე, ზინგერის ამხანაგობის აგენტი საველი გორგოძე, ნესტორ ბაზაძე; ივანე თავაძე; კოსტა მორჩაძე; მიხაილ მერკვილაძე; იაგორ ტორაძე; ქიშვარდი ბურჯანაძე; იოსებ ულრელიძე; ათანასი მექვაბიძე; სერგო მახათაძე; დარისპან ტუკვაძე; ანდრო სახოკია; მიხა ჩუბინიძე; კოსტა ლოლაბერიძე; ნიკოლოზ მაღლაკელიძე; ალექსანდრე გვადებაძე; რაჟდენ ცერცვაძე; დომენტი ცერცვაძე; ტრიფონ ცერცვაძე; მელიტონ მელქაძე; ვიქტორ ბანძალაძე; თეითა რაჯიბი; ილარიონ კალანდაძე და ლ. ჭანუაშვილი.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: რეაქციის წყალობით სამსახურიდგან დათხოვნილი საერობო დარაჯთა ურიადნიკი მარჩენკო, რომელიც ამ ჟამად წვრილი ცოლშვილით ცხოვრობს დაბა ხონში ყოველივე ცხოვრების სახსარს მოკლებულია და ითხოვს დახმარება აღმოუჩინოთ მას.

შემოწირულება მიიღება ხონში შემდეგი ადრესით: Хони книжный магаз. „Руставели“ для Степана Марченко.

*** როგორც ამას წინეთ ვწერდით, გოროდოვოებმა კიდევ არ მოიშალეს თავიანთი ძალმომრეობა და ისევ განაგრძობენ; 16 ივლისს ქალაქის ბაღში კიდევ დაიჭირეს ერთი ყმაწვილი კაცი, ძალზე სცემეს და შემდეგ წაიყვანეს საპოლიციო ნაწილში.

*** 16 ივლისს, კრება გამართეს ქუთაისის მეპურეებმა მათი ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევათ. მოელიან გაფიცვას.

*** 16 ივლისს, ქუთაისის სატუსალოდან გაანთავისუფლეს თავდების ქვეშ კუხალაშვილი.

*** 16 ივლისს, სოფელ კურსებში ქუთაისის სცენის მოყვარეთ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა, უთამაშხიათ თანამედროვე პიესა „სიმდიდრის მსხვერპლი“. წარმოდგენას ძლიერ სუსტათ ჩაუვლია.

*** **ქუთაისში არესტები დაიწყო.** 16 ივლისს ღამით არქიელის გორაზე დაატუსალეს შემდეგნი პირნი: დიმიტრი ჯაფარიძე, ნიკოლოზ კაშია, ნიკოლოზ ავალიანი, ვარლამ კაშია, იოსებ ლორთქიფანიძე ალექსანდრე ავალიანი და გოცირიძე.

*** გაიფიცენ სად. რიონის მოსამსახურეები სადგურ რიონის პირველ და მესამე კლასის და სავაჭრო „ბუტკის“ მოსამსახურეთა გაფიცულებმა წარადგინეს შემდეგი მოთხოვნილებები:

1) მოგვემატოს ჯამაგირი ვისაც შვიდ მანეთზე ნაკლ. აქვს 30% ვისაც მეტი 20%.

2) მოგვეცეს ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა-(ოთახი) ან ფულათ ორი მანეთი (2 მ.).

3) თმის გასაკრეჭი ფულათ თვეშიდ თითო აბაზი (20 კ).

4) აბანოსა და საპნის ფული.

5) ფეშტემლები საცვლის გასარეცხი ფულათ თითო მანეთი (1 მ.).

6) ავათმყოფობის დროს უფასოთ ექიმი, წამალი და ადგილის შენახვა ექვს თვის განმავლობაში.

7) ხაზეინმა თუ ვინმე დაითხოვა მიეცეს 3-თვის ჯამაგირი; ხაზეინი ვალდებულია დათხოვნა უნდა შეატყობინოს ერთი თვით ადრე.

8) მოსამსახურეთა დათხოვნა და მიღება ეკითხებოდეს ისევ მოსამსახურეთ ყველა უთანხმოება მათ შორის ირჩევოდეს სამედიატორო სასამართლოს საშვალებით.

9) ხაზეინისგან ზრდილობიანი და ადამიანური მოპყრობა.

10) გაფიცვის დროს ჯამაგირი არავის გამოეიცხოს.

11) გაფიცვისთვს არავინ იქნეს დათხოვნილი.

ძალ-მომრეობა სასამართლოში.

ქუთაისის ოლქის სასამართლოშიდ დიდი ხნიდგან დაბუდებულ თვითნებობას და ძალმომრეობას არ ეღება ბოლო, არამედ ეს სენი კიდევ უფრო ღრმად იდგამს ფესვებს, ნამეტურ იმ ბატონების ძვალ რბილშიდ, რომელსაც მსუქან-მსუქანი ადგილი ჩაუგდიათ ხელში; ეს ვაჟბატონები მხოლოთ თავის თავზე ფიქრობენ და დაბალ მოსამსახურეების საჭიროებათ და მოთხოვნებს მუდამ ფეხით სთელავენ; როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გავიგეთ, ძალმომრეობის მომხრენი, მსხვილი მოსამსახურეები, მეტი წილი ყოფილან სამოქალაქო განყოფილებაშიდ. მათ დასახასიათებლათ საკმაო შემდეგი მაგალითი: არის ისეთი საქმეები, რომლებიც თხოულობენ ადგილობრივად გარჩევას, მოწმეების დაკითხვას, ადგილის დათვალიერებას ამისთანა საქმეების ასრულებას ოლქის სასამმართლო ანდობს ერთ რომელიმე თავის წევრთ განს. ამ წევრს, როგორც მსხვილი მოსამსახურეს უნდა ეახლოს ერთი თარჯიმანი (დაბალ მოსამსახურეებიდან, მაგრამ ...) ... მიყავთ ისეთი პირები, რომლებიც განთქმული არიან მთელ ოლქის სასამარლოშიდ თავიანთი ფლიდობით და აგრეთვე დაჯილდოვებული არიან კარგი ჯამაგირებით. მათ ვერ აკმაყოფილებს დიდი ჯამაგირები და კიდევ გლეჯენ პირიდგან ლუკმას იმ პირთ, რომლებიც უკიდურეს მდგომარეობაშიდ არიან. აგეთი სხვისი ხვედრით ისქელებენ ჯიბეებს, არ შერჩენიათ ცოტაოდენი სინიდისი, რომ მიმოიხედონ გარშემო და შეხედონ მათ გარშემო მყოფ—ცოლშვილით დატვირთულ წვრილ მოსამსახურეებს, რომლებიც შესჩერებიან მარტო იმ მცირე ჯამაგირს, რომლითაც უკიდურეს თავიანთ მოთხოვნილებასაც კი ვერ იკმაყოფილებენ. მიუხედავათ მასა, რომ წვრილ მოსამსახურეებს თავიანთ მოთხოვნილებაშიდ ამის შესახებ ჰქონდათ ნახსენები ყოფილი თავჯდომარე ბ. ბაკალოსთან, რომელიც თავის სურვილის წინააღმდეგ იძულებულ იქნა დაეკმაყოფილებინა მათი სამართლიანი მოთხოვნილებანი, მაგრამ ხსენებულ ძალმომრეობის მოთაყვანეებმა დაარღვიეს ეს გადაწყვეტილება ბ. ბოკალოსი და ძველებურათ აწყობენ საქმეს.

№

ნუ აყვებით პროვოკაციას!

დუმა დაითხოვეს! უკანასკნელმა ცდამ მთავრობისამ—დუმით რევოლიუციის ჩაქრობამ უნაყოფოთ ჩაიარა! მთავრობის ოცნება სინამდვილემ დაამსხვრია! დუმა ოპოზიციო-

---

ფელეტონი

***

ამნისტია! ამნისტია!
გაისმის ხმა ყოველ მხრიდან,
მას ბანს აძლევს ჩაგრულთ კვნესა
შავ-ბნელ ციხე-ციმბირიდან.
მაგრამ, ნაცვლათ ამნისტიის,
მსხვეპლი ისევ მსხვერპლსა მისდევს
და ივსება ციხეები,
შავ კედლები ძლივსლა იტევს...
ოხ, ჯალათო, როდემდის გსურთ
ამნაირათ იმტარვალოთ,
გვატრიალოთ ტანჯვის ცეცხლზე,
გვაწამოთ და გვ ვალალოთ?!
თუ გგონიათ სულ შეგრჩებათ
ბატონობის ძალა ხელში?
არა, არა! დაკრავს წამი
გაგიტარებთ მახვილს მკერდში!

ვ. ჩახ-რუხაძე.

წერილები ტაქტიკაზე და უტაქტიკობაზე.

ამხანაგო ბლანკისტებო!

თქვენ ამტკიცებთ—ნამდვილათ კი, თქვენ უჯერით მათ. რომელნიც ამტკიცებენ,—რომ მე ეხლა „ის აღარა ვარ“; რომ მე ხინეთ დაუძინებელი მტერი ვიყავი ოპორტიუნიზმისა, ეხლა კი გადაჭრით მივილტვი იმისკენ და სხ .. მაგრამ თქვენ სცდებით.

როდესაც კაცი მატარებელში ზის, რომელიც დაიძრა და მიდის—თუ მის გვერდით ამავე დროს მეორე მატარებელი უძრავათ დგას, მას (კაცს) ხშირათ გონია, რომ მეორე მატარებელი უკვე მიდის, და მისი კი ერთ ადგილზე დგას. თქვენც სწორეთ ამ გვარსავე ილიუზიებს განიცდით. მეორე სიეზდის შემდეგ თქვენ დიდი ცვლილება განიცადეთ: თქვენ უარ ყავით მარქსისტული შეხედულება და შეტოპეთ ბლანკიზმში, მე კი,—თუმცა მეც ყოფილი „ბალშევიკი“ ვარ,—მარქსის შეხედულებაზე დავრჩი თქვენ გეჩვენებათ, ვითომ თქვენ მარქსისტობას განაგრძობთ, მე კი ოპორტიუნისტი შევიქენი. დასამტკიცებელი საბუთები გნებავთ? აი ზოგი მათგანი.

თქვენ არ მოგეწონათ შენიშვნა, რომელიც მე „კოლოკოლის“ შესახებ გაძოვსთქვი. ამ შენიშვნაში თქვენ ხედავთ ჩემი ოპორტიუნისტობის დამამტიცებელ საბუთს. მაგრამ რაში მდგომარეობს ჩემი ოპორტიუნისტული შეცდომა? რა ვსთქვი მე „კოლოკოლის“ შესახებ?

მე ვსთქვი, რომ ჩვენი ტაქტიკური კითხვა არ შეიძლება გადაწყდეს უბრალო მითითებით ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ინტერესთა წინააღმდეგობაზე, მაგრამ ეს ხომ იგივეა, რაც მე ხუთი წლის წინეთ ვსთქვი, ე. ი. იმ დროს, როდესაც ყველა თქვენთაგანს გაეცინებოდა, რომ ვინ-ეს ჩემთვის ოპორტიუნისტობა შეეწამებინა. აბა დაუგდეთ ყური.

„რუსეთი ძალიან დაშორებულია დასავლეთ ევროპის სიმდიდრეს და განათლებას. მაგრამ მასში აღორძინებულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ არ განვლო უმნიშველოთ სოციალიზმისათვის, რუსეთშიდაც მე XIX-ტე საუკუნემ მე-XX-ს ძვირფასი მემკვიდრეობა დაუტოვა: ჩანასახი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. ეჭვს გარეშეა, რომ ისტორიული პირობები ხელს უწყობენ ამ ჩანასახის განვითარებას. თუ სამართლიანია ის აზრი, რომ ერთ ქვეყანას შეუძლია და ვალდებულიც არის მეორესაგან ისწავლოს, რომელმაც მას წინ გაუსწრო, სოციალისტურ რუსეთსაც შეუძლია და ვალდებულიც არის ბევრი რამ ისწავლოს დასავლეთ ევროპის სოციალისტებისაგან. ყველაზე უმთავრესი ... გვეთილი, რომელსაც ჩვენ დასავლეთ ევროპის სოციალიზმის ისტორია გვაძლევს, იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა პარტიის მახლობელი მიზანი და ტაქტიკა განისაზღვრება საზოგადოებაში არსებული ნამდვილ ძალთა განწყობილებით, ამ ძალთა განყობილების დავიწყება, საზოგადო მოსაზრებით ხელმძღვანელობა ნიშნავს, ნამდვილ ნიადაგის მიტოვებას. ამას ვწერდი მე მე-2-რე ნომერ „ისკრაში“,—როგორც ხედავთ „ძველ“-ძალიან „ძველ“ „ისკრის“—მოწინავე წერილში: „მე-XX-ცე საუკუნის დასაწყისი“. იმ დროს ჩემგან გამოთქმული მოსაზრებას მთელი „ისკრის“ რედაქცია იცავდა; მაშინ მთელ რედაქციას მიაჩნდა ის მარქსიზმის სრულ გამომხატველ შეხედულებათ. ეხლა კი ლენინს, რომელიც აღნიშნულ რედაქციის ერთი წევრთაგანია, ეს შეხედულება ოპორტიუნიზმათ მიაჩნია. ვინ გამოიცვალა? ვისი მატარებელი დაიძრა ადგილიდან? თქვენ იტყვით, — ნამდვილათ კი, იტყვიან ისინი, ვინც თქვენ „საზოგადოებრივ აზრს“ ქმნიან, - რომ ეხლა ის „სიტუაცია“ აღარ სუფევს. თქვენ ძალიან გიყვართ „სიტუაციის“ შეცვლაზე მითითება. საზოგათოთ რომ ვსთქვათ, ეს დიდი უბედურება არაა. ამ გვარი მითითება პირიქით, ძალიან კარგიც არის, თუ მას შესაფერ დროს მიმართავ. მაგრამ უბედურობა ისაა, რომ თქვენ მას სწორეთ უდროოთ ხმაროობთ, ე. ი. მაშინ, როდესაც სათქმელი აღარაფერი გაქვთ. რომ განზრახ შეცდომაში არ შეხვიდეთ, მე წინდაწინვე უნდა შევნიშნო, რომ წერილი: „მე-XX-ცე საუკუნის დასაწყისი“ ხატავდა რე-

ნური, და კიდევ მეტი რევოლიუციონური გამოადგა მას, დუმამ გააღრმავა რევოლიუცია, დუმამ გააძლიერა მოძრაობა, დუმამ უკულმართობის წინააღმდეგ აამხედრა და ააზვირთა თვალ უწვდენელ მივარდნილ რუსეთის კუთხებში ტლანქი და მოუხეშავი გლეხ-კაცობა, დუმამ: მიყრუებულ, მივარდნილ, მარად სიბნელით მოცულ სალდათთა ყაზარმებშიაც გადატყორცნა ნათელი სხივი განთიადის და მხედრობასაც ამ კნოთავ-ანთ თავი!—დუმამ მოშალა მთავრობის მტკიცე ორგანიზაცია, დუმამ სიკვდილის კარამდე მიიყვანა მთავრობა, და აი მან სიკვდილის წინასწარ დაითხოვა დუმა! დუმა დაითხოვეს, თქვენ-კი მებრძოლო, მუშებო, უსამართლობისაგან აღელვებული ხართ! უკანასკვნელი მიზანი მთავრობის აი სწორედ ეს არის: ის ცდილობს კიდევ ერთხელ პროვოკატორულ პლანებით მოუმზადებელნი დაჩქარებით გამოგვიწვიონ ბრძოლის ველზედ, და ერთხელ კიდევ გაძლენ ჩვენი სისხლით; მუშებო! თავ-დაჭერით ვიმოქმედოთ; ძალზედ ნუ აგვაღელვებს უსამართლობა, ნუ გავებმებით „კამარილას“ გაბმულ ქსელში; ნუ ავყვებით პროვოკაციას!

ილია ბახტაძე.

პაწია ფელეტონი.

***

აზვირთდა, აბობოქრდა ცხოვრების ტალღები...

ის თავის კალაპოტში აღარ ეტევა, ვიწრო ფარგალში ველარ თავსდება და უფრო ფართო, ვრცელ მოედანზედ გაშლას ლამობს, გაგანიერებისთვის იბრძვის...

მერე და ვინ ეღობება მას წინ? ვინ უშლის თავისუფალ ნავარდს კლდე-ღრეში? ვის შეშურდა მისი ნაკადულის ჩუხჩუხ-რაკრაკი?

— გულ-ჩახვეულ მთას, რომელიც აგრე ამაყად გადმოყუდებია მაღლიდამ სრულიად ანკარა, უმანკო მდინარეს და რომელსაც მუდამ შურითა და ბრაზით ევსებოდა გული მის დანახვაზედ, რადგან ყოველივე მისი მოძრაობა, მიმდინარეობა ძირს უთხრიდა მთას, ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად ღრღნიდა მის საფუძველს, და, მაშასადამე, კაის არას უქადდა მომავალში—უნდა დამხობილყო მისი ბუმბერაზობა...

და დაიმხობა იგი, რამეთუ ესე არს წესი ბუნებისა...

— როგორ? განა ბუნების წესი ისეთია, რომ დიდს პატარა დაიმონებს, ძლიერს სუსტი დაამარცხებს?!—იკითხავს გაოცებით მკითხველი.

— დიახ, ძლიერს სუსტი დაამარცხებს, რადგან პირველი უფრო დაუძლურდა უკანასკნელზე...

ალფრე.

რუსეთი

როგორც ტელეგრამები გვატყობინებენ, მეხუთე დღეა, რაც გორლოვოებს სამსახურისთვის გელსინგფროსში თავი დაუნებებიათ; პოლიციის წვრილ მოსამსახურეთა საერთო გაფიცვა დაწყებულა. მიზეზი გაფიცვისა პოლიციელთა უკმაყოფილებაა თავიანთი სამსახურით; გაფიცულნი უკვე დაუთხოვიათ სამსახურიდან; საჩქაროთ ახლებს იძენენ. დათხოვნილ ადგილზე ჯერ-ჯეროობით წესიერებას მცხოვრებნი იცავენ.

——

იაროსლავში 10.000 მუშას მოუთ-

ხოვნია მანუფაქტურის ფაბრიკის შენობა გაენთავისუფლებინათ იქ დაბანაკებულ კაზაკებისაგან. შემდეგ მუშები მიტინგზე შეკრებულნი—კაზაკებს გაუფანტავთ.

—

უკანასკნელ დღეებში, გაზ. „რეჩის“ სიტყვით—მასიური არესტები ხდება პეტერბურგში; იჭერენ დღისითაც. დაჭერის დროს სახლს არ ჩხრეკენ, მხოლოთ ნივთებს ბეჭდავენ...

—

ტამბოვსკის საზოგადოების გლეხებს დაუდგენიათ მოიწვიონ ყველა ტომაროვკის მცხოვრებნი, რომელებიც სხვა ადგილებში სტრაჟნიკებათ მსახურობენ. მიეცათ მათ წინადადება მიატოვონ ეს თანამდებობანი; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საზოგადეპიდან განდევნა მოელით.

—

დუმის დათხოვის წინა დღით დეპუტატ ხარტახაის (დონის როსტოვიდანაა) შემდეგი საინტერესო ცნობები მისვლია დონის კაზაკების შესახებ „სათაბიროს დათხოვნის შესახებ: ხმები დონამდინაც მოვიდა; კაზაკობა ამ ხმებს არ უჯერან. თუ მართლა დუმას დაითხოვენ, იცოდეთ პეტერბურგიდან ჩვენ დღეიდან არავის მივიღებთ (იგულისხმება თანამდებობის პირნი), ახლოსაც არავის გავიკარებთ. ეხლა გვესმის რაშიდაცაა საქმე; აწი ისე ადვილათ ველარ გაგვაბრიყვებენ რომ ხალხს ვცემოთ“.

—

რკინის გზებზე მოსალოდნელ გაფიცვების გამო გზათა სამინისტროს ცირკულიარები დაუგზავნია, სადაც სხვათა შორის რკინის გზის უფროსებს წინადადებას აძლევს, თუ ვინ-

ცობაა მოსამსახურეებში—რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის წევრები აღმოჩდებიან—დაუყოვნებლივ სამსახურიდან დაითხოვონ...

—

7 ივლისს 5 საათზე პეტერბურგის ჯარების უფროსისაგან საჩქაროთ გამოწვეულ იქნენ პეტერბურგის გუბერნატორი ზინოვიევი და გრადონაჩალნიკი ფონ-დერ ლაუნიც. სამხედრო უფროსმა მათ საჭირო ინსტრუქციები გადასცა, პეტერბურგში მოსალოდნელი არეულობის ჩასაქრობათ (სტ.).

—

სამხედრო მინისტრს განკარგულება მოუხდენია ადგილობრივ ჯარების უფროსებისადმი, მინისტრი წინადადებას იძლევა ფიცხლავ შეადგინონ სიები პოლიტიკურათ არა საიმედო პირებისა. ჯარის უფროსების შედგენის დროს შეუძლიათ ისარგებლონ ცნობებით, რომელთაც ადგილობრივი ჟანდარმთა სამმართველოში უხვათ მიაწოდებენ. ეს სიები საიდუმლოთ უნდა ინახებოდეს მხოლოთ პირი ამ სიებისა უნდა იგზავნებოდეს სამინისტროში. (სტრანა).

—

„მისლის“ რედაქციის დარბევა ღამის ორ საათამდე გაგრძელებულა. დაუტყვევებიათ ორი სტოროჟი, რ გარეშე პირი და მთელი სარედაქციო კომიტეტი, რედაქტორ სოლომკოს გარდა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრია. (პუტ.)

პროვინცია.

ს. კუხი. კვირას 2 ივლისს ქუთაისიდან ხონში ჩამოვიდა ქუთ. დრ. გენ.-გუბ. იაზიკოვი. კუხის სასოფლო კანცელარიაზედ მას დახვდა

დაქციის შეხედულებას მაშინდელ დროის „სიტუაციაზე“, როდესაც ის იყო დაბეჭდილი, არამედ საზოგადო შეხედულებას იმ კოლეგიისას მაზე, თუ რაფერ უნდა შევუდგეთ,—სწორეთ რომ ვსთქვათ, რაფერ არ უნდა შევუდგეთ ჩვენ ჩვენი პარტიის ტაქტიკური კითხვების გადაწყვეტას. ცხადია, ეს საზოგადო უარყოფითი შეხედულება შესაფერისია ყოველ დროის „სიტუაციისათვის“. ცხადია ისიც, რომ თუ ეხლა ის თქვენ გიკვირთ, ეს მისთვის ხდება, რომ მატარებელი, რომელშიდაც თქვენ ზიხართ, თქვენს შეუმჩნეველათ ტოვებს „მარქიზმის“ სადგურს.

აი რას ვსწერდი მე იმავ 1901 წლის მე-2-და მე-3-„ზარიას“ წიგნში: „საზოგადოების მიერ მხარის დაჭერა დაჩქარებს ზრდას და მოგვიახლოებს რევოლიუციონური ხალხის ძალების გამარჯვებას. ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა. ამ შეურყეველი ჭეშმარიტების გაგება აუცილებლათ საჭიროა ყველასათვის, არა პოლიტიკის მხრით უზრუნველ რუსეთის ყრმათათვის, ვინაიდგან შესავალი უკვე გათავდა, და დაიწყო პირველი მოქმედება დიდებული დრამისა, თავისუფლების მეგობარნი უნდა იყვენ ბრძენ, ვითარცა გველნი: ყოველი მათი შეცდომა დააგვიანებს მის ძლევამოსილ წინ მსვლელობას; ყოველ მათ მიერ მოუფიქრებელ ნაბიჯისათვის, ისინი დამარცხებით აგებენ პასუხს. ჩვენ რევოლიუციონერებს შეეძლოთ „საზოგადოების“ უარის ყოფა მანამდე, სანამ მათ „პოლიტიკა“ ნამდვილ სოციალისტისათვის დამამცირებელ მოქმედებათ მიაჩნდათ. მაგრამ, როგორც კი პოლიტიკურმა ბრძოლამ შესამჩნევ ადგილი დაიკავა მათ პროგრამაში, მათთვის მაშინვე საჭირო შეიქნა მათში საზოგადოების თანაგრძნობის უზრუნველ-ყოფა“.

იმ წერილს, რომლიდანაც მე ამ სტრიქონებს ვიღებ („что же дальше“), მაშინდელი „ზარიას“ და „ისკრის“ რედაქციამ დიდის, შეიძლება ვსთქვათ განსაკუთრებული თანაგრძნობით შეხედა.*) რედაქციის რჩევით ერთმა პროვინციის კომიტეტმა კიდევაც გადაბეჭდა ის. მაშინ ჩემ მიერ გამოთქმული აზრები ყველას „ორტოდოქსალური“ ეგონა. ეხლაკი, როდესაც მე იმავ აზრებს ვიმეორებ და ვანვითარებ, ვამტკიცებრა, რომ ჩვენი გამარჯვებისათვის საჭიროა რეაქციის განცალკევება, მე ოპორტიუნისტობას მწამებენ.

*) ლენინს ალბათ ესმის, რისთვის ვლაპარაკობ მე განსაკუთრებულ თანაგრძნობაზე. თუ არა—მაშინ მე ავუხსნი, და გავახსენებ ერთ შემთხვევას, რომელიც „კომიზმის“ არ იქნება მოკლებული.

განმეორებით ვკითხულობ: ვინ გამოიცვალა? ვინ დარჩა **„მარქსიზმის“ სადგურზე**? და ვინ მიატოვა იგი?

და მე კი განმეორებით გეტყვი თქვენ, ამხანაგო ბლანკისტებო, ნუ იტყუებთ თავს და ნუ გაძახით: „ეხლა სულ სხვა სიტუაციაა!“ არც ამ ჩემ სტატიას ქონია მხედველობაში 1901 წლის „სიტუაცია“. ის მხოლოდ მაზე გვითითებდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით მომავალში იმ დიდებული დრამის დროს, რომლის დასაწყისიც მე მაშინ აღვნიშნე და რომელიც ეხლა ჩვენ თვალწინ ხდება. ჩემ სტატიაში წინდაწინვე იყო აღნიშნული—ის თქვენი სიყვარელი „სიტყვა, რომელსაც თანამედროვე „სიტუაცია“ ეწოდება. იმავ სტატიაში მე ვწერდი: „ვინც ამა თუ იმ საშუალებით ხელს არ უწყობს იმ ძალის გაზრდას, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს თანამედროვე წეს-წყობილებას. ის ნამდვილათ არაფერს არ აკეთებს სამშობლოს განსათავისუფლებლათ. და ვინც ამა თუ იმ მიზეზების გამო, თუ გინდ უცოდინარობის ან მოუთმენლობის გამო, ხელს უშლის ამ ალის გაზრდას, ის მომაკვდინებელ. ცოდვას ჩადის (შეიძლება უნებლიეთაც) თავისუფლების წინააღმდეგ“ ეს სტრიქონები დაწერილი იყვენ ჩემ სტატიაში კურსივით: ისეთ მნიშვნელოვანათ მიმაჩნდა მე აზრი, რომელიც მათში იყო გამოთქმული. მაგრამ ვის უვიცობაზე და მოუთმენლობაზე ვლაპარაკობდი მე მაშინ? სწორეთ იმ პირობის უვიცობაზე და მოუთმენლობაზე, რომელნიც „უდროვო დროს : აქტიურ გამოსვლას“ გვირჩევენ. მაშინდელი რედაქციას,—„ძველ“ რედაქციას ეს სტრიქონები ჭეშმარიტებათ მიაჩნდა, როგორც მთელი აზრი სტატიისა. ეხლა კი! როგორ ცხარე აღშფოთებას იწვევს ლენინში ჩემი აქტიური გალაშქრება მის „უდროო „აქტიურ გამოსვლის“ წინააღმდეგ. სწორეთ ამაზეა ნათქვამი: „დრონი იცვლებიან და ჩვენც მათთან ვიცვლებით!“

ვიმეორებ ამხანაგებო, თქვენ დიდი ცვლილება განიცადეთ, და რამდენადაც დიდია ეს ცვლილება, მით უფრო გწყინთ ის, რომ მე მტკიცეთ დავრჩი ჩემ ძველ აზრებზე.

გ. პლეხანოვი.

(გაგრძელება იქნება.)

კუხის საზოგადოება. გუბერნატორს თან ახდა თავ. დ. ნიჟარაძე, რომელსაც კუხის საზოგადოებაში ს. გუბის მახლობლათ 100-მდე ყოვლად უვარგისი მიწა აქვს. ეს თავადი წინათ ალიხანოვსაც ახლდა ქუთაისიდან ხონში მოგზაურობის დროს როდესაც ალიხანოვმა სხვა მოთხოვნილებასთან ერთად მემამულეების მუცლის ტკივილიც მოიხსენია, რაზედაც კუხელებმა უპასუხეს, რომ ჩვენ საზოგადოებაში მემამულე სრულებით არ არისო, წამოვარდა თ-დი ნიჟარაძე და კაზაკებით გარშემორტყმულ ხალხს შეუვირა: „თქვენ ატყვილებთ გენ. გუბერნატორს, აგერ ორი წელიწადია ჩემი მიწებით სარგებლობდით და ჩემთვის კაპიკიც არ მოგიციათ“. ალიხანოვმა მოისმინა ნიჟარაძის საჩივარი და უბრძანა ხალხს: „დაუყონებ ლივ დააკმაყოფილეთ კნიაზი, თორემ მერე მე ვიცი“; გასაკვირველი იყო თ-დი ნიჟარაძის მოთხოვნილება. რაში დაჭირდა თავადს ხალხის უბრალოთ შეწუხება, როდესაც მან კარგათ იცოდა, რომ მისს ადგილში ორი წელიწადია უანა არავის აუღია. ალიხანოვის დრო წავიდა. ხალხმა მისგან შიყენებული მწარე დღეები დაივიწყა, მაგრამ ორ ივლისს გენ.-გუბერნატორის ჩამოსვლას მოყვა თ-დი ნიჟარაძის თანხლებით ხალხის ახალი შეწუხება. გუბერნატორმა შემდეგ ნაირათ მიმართა ხალხს: „დამშვიდდით, შეუდექით მყუდრო ცხოვრებას, მთავრობისაგან მოგეცემათ მიწა და თავსსუფლება, მხოლოდ დაიცადეთ და აღასრულეთ ყველა ჩვენი მოთხოვნილებები; წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი ზომები იქნება მიღებული“! ამის შემდეგ წამოდგა თ-დი ნიჟარაძე და ხალხს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „რა ჰქენით, რატომ არ აასრულეთ ალიხანოვის მოთხოვნილება, რომელიც ჩემ დაკმაყოფილებას გიბრძანებდათ“?! გუბერნატორმა ამას ყურადღება მიაქცია და ბრძანა: „თუ რომ ალიხანოვის ბრძანება დაუყონებლივ არ აგისრულებიათ ჯარის საშუალებით ძალათ გადაგახდევინებთ და თავადს დავაკმაყოფილებო. დღეიდან გაძლევთ ერთი თვის ვადას და თუ არ გადაგიხდიათ, მერე ვიცი ჯარი იცოდე ბევრი მყავს“! ხალხში უკმაყოფილების ხმა გაისმა; ჩვენ მაგის ადგილებში ყანა არ გვქონია და რისთვის გვახდევინებენო. ამაზე ნიჟარაძემ ბრძანა: „თქვენს მიწებზედ ყანები გეთესათ და ჩემი საბალახოთ გქონდათ, ეს არაფერია“. ამის შემდეგ გუბერნატორი თავისი ამალით ხონში წავიდა. ხალხი გულგატეხილი ნიჟარაძის საქციელით, წყელვა-კრულვით სახლში დაბრუნდა.

—

ოზურგეთი. ოზურგეთი დაცალიერდა; — ყველა ბახმაროსკენ გაეშურა... დარჩა აქ მხოლოთ მცირე ნაწილი საზოგადოებისა, უკლებლივ ძლევა-მოსილი მხედრობა და ცნობილი „დიმიტოს“ შავი რაზმი, რომელიც დუმის გარეკვის ამბის შეტყობის შემდეგ უფრო არხეინათ დათარეშობს და გაიძახის: „ჩემისთანა ბიჭი ქვეყანაზედ არ მოიძებნება, ვაჟკაცი ვარ მაშ რა ვარ: ორი ყუმბარა დამახალეს ბათუმში, მარა ორივე დავიჭირე აბა გახდენ რამე — მაშინვე მთელ გურიას გაანადგურებენ“... დიდი წარმოდგენა ჰქონია თავისთავზე დიმიტოს“ — ბნელეთის მოციქულები კვლავ შეუდგენ თავიანთ საგმირო საქმეებს — ამას წინათ ვიღაც გურიის „გულ შემატკივარს“ უცნობებია სადაც ჯერ არს, რომ ვითომც აგარაკ ბახმაროზე შეიარაღებული რაზმი იდგეს და ადგილობრივ ჯარზე დაცემას აპირობდეს; ამისათვის ხუთი დღის წინათ ბახმაროზე გაემგზავრა ადგილობრივი ჯარის უფროსი ტალმაჩევი თავისი ამალით და ცნობილი მომრიგებელი შუამავალით ნიკოკით — მარა რაც ეგონათ აღარ დახვდათ და პირმშრალები დაბრუნდნენ ოზურგეთში.

დამსჯელ რაზმს ოზურგეთში და მის ახლო მახლო არ გადარჩენია არაფერი გაუნადგურებელი — აუოხრებელი და აი ეხლა სხვასთან ერთად ნამდვილ თავლათ გახადეს ერთი სასეირნო ბულვარი — ოზურგეთის ბულვარი ოდესღაც (ცნობილი კრილოვის დამსჯელი რაზმის მოსვლამდე) სასიამოვნო სანახავია დღეს წარმოადგენს კაზაკების თავლას, სადაც ხშირათ ხედავ უთვალავ ნაგვის გროვას, რასაც საშინელი სუნი ასდის, რის წყალობით «დიზინტერია» (მუცელა) ფეხს იკიდებს, — რამაც ბევრი კაცი თუ ქალი უდროვოთ წუთისოფელს გამოასალმა; ნეტა როდემდის უნდა დავრჩეთ ამ გვარ მდგომარეობაში? ნუ თუ არაფერს იტყვიან ჩვენი ქალაქის გულშემატკივრები?!

ღარიბაძე.

დეპეშები.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16—17 ივლისი.

პეტერბურგი. სოციალისტ-რევოლიუციონერების ცენტრალური კომიტეტის დაჭერის დროს მთავრობას არ ჩაუგდია ხელში არაფერი საბუთები. პოლიციის პირველი ნაწილის მოხელეთა გაფიცვების გამო დაითხოვეს და გააძევეს ქალაქიდან 6 პოლიციელი; ამავე საქმის გამო სხვა და სხვა დროს დაატუსაღეს 11 პოლიციელი. დაითხოვეს ეგრეთვე ბოქაულიც. ხმები, ვითომც გრაფ გეიდენს, ლვოვს, და გუჩკოვს ვარი ეთქვათ მინისტრობაზე სიმართლეს მოკლებულია, ისინი კაბინეტში შესვლასა აპირებენ.

პეტერბურგი. გუშინ 11 საათზე ბუსელის სტამბაში შევიდნენ შეიარაღებული ჯგუფი უცნობი ხალხისა; დაატუსაღეს ყველა იქ მყოფნი დახურეს ფანჯრები და დაიწყეს ბეჭდვა სახელმწიფო სათათბიროს მიერ შედგენილი ხალხისადმიმოწოდება 150000 ცალი დაიჭ. საღამოს 5 საათზე გამოიტანეს სტამბიდგან და წავიდნენ. მოწოდებების ბეჭდვის დროს ყველა უცნობ ჯგუფთაგანი შეიარაღებული მუშაობდნენ. ვერც ერთი ვერ დაიჭირეს.

ვარშავა. საღამოს შვიდ საათზე ალექსანდროვიდგან მომავალი მატარებელი ვარშავიდგან მაეთე ვერსზე შეაჩერეს 40 რევოლიუციონერებმა ავტომატიური ტორმოზების საშუალებით; რევოლიუციონერები გადმოვიდენ ორი წითელი ბაირაღით ხელში და რევოლვერებით; მოხსნეს საფოსტო ვაგონი, თავდამსხმელებმა წაიყვანეს ძალით მემანქანეს ვაგონები სამ ვერსის მანძილზე იქ ახადეს იარაღი ფოსტის მოხელეს გაიტაცეს სახელმწიფო ფული 100,000 მ. და მიიმალნენ.

ბსკოვი. სამაზრო სამმართველოს თავმჯდომარის ნაზიმოვის მამულში სოფ. პრეობრაჟენსკში, სამასმა გლეხმა, ღამით გადასწვა ბოსელი და არყის სავაჭრო დუქანი. გაიგზავნა ჯარი.

გროდნო. ბრესტის მაზრაში აღდგენილ იქმნა წესიერება; გუბერატორი დაბრუნდა.

თბილისი. დაიბეჭდა გენ.-გუბ. განკარგულება, რომლითაც ის იწვევს ხალხს დაემორჩილონ პოლიციის და ჯარის მოთხოვნილებებს. დემონსტრაცია, კრებები და მიტინგები აკრძალულია; წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება ხმარებული იარაღი წინასწარ გაუფრთხილებლად.

სევასტოპოლი თვრამეტი საათის მსჯელობის შემდეგ, სუყველა ბრალდებულთ თანადასწრებით, გამოიტანეს შემდეგი გადაწყვეტილება: ზიმინს, კოსოდანოვს, კუდიმოვსკის და რიბალკას გადუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, ლუკიანოვს — უვადო კატორგა; 32 მატროსს კატორგა 1—15 წლამდე 48 — ტუსაღთა გამასწორებელ რაზმებში გაგზავნა 1—5 წლამდე; ერთს სამხედრო საპყრობილეში 4 თვით ცალკე დაპატიმრება — (одиночное заключеніе და ერთს სამოქალაქო საპყრობილეში ორი წლით და სამი თვით დაპატიმრება. დანარჩენი ექვსი კი სასამართლომ გაამართლა. სკრიდლოვმა დაათვალიერა შავი ზღვის ფლოტის გემები.

იაროსლავლი. იაროსლავის მანუფაქტურის ფაბრიკაში გაიფიცნენ 10,000 მუშა. ფაბრიკის გამგეობა არ აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნილებას. ფაბრიკის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ არეულობის მოხდენის თანავე დახურავს ფაბრიკას.

პიატიგორსკი. ოთხივე აქაურ კურორტზე აღდგენილ იქმნა წესიერება.

თბილისი. სააგენტოს მიერ შუშაში სპეციალურად გაგზავნილი კორრესპონდეტი იტყობინება: ქალაქში შესვლა შეუძლებელია, ისმის არტილერიის სროლის ხმა; ქალაქი კვამლშია გახვეული; საჩქაროთ გაიგზავნა მესამე მსროლელთა ბატალიონი. გენერალ მალამას ალექსანდროპოლში და ეხლა ვლადიკავკაზში წასვლა გამოიწვია არტილერის ნაწილების გამოცდამ და არა ჯარებში არეულობამ.

მოსკოვი. სამხედრო საავადმყოფოს ექიმი დელაროში და ფერშალი მისცეს სამხედრო სამართალში, სამხედრო ფერშლების კავშირის წესდების შედგენისათვის. ამას გარდა დელაროშს აბრალებენ საავათმყოფოს უფროსის მოკვლის დაქადნებას.

სამარა. ორი როტა კაზაკებისა შემოერტყა ვოლგის გაღმა მუშათ. მიტინგის დროს; დაატუსაღეს 500 კაცზე მეტი, იმ დროს ვაგზალზე საპყრობილეში; დანარჩენები შეგროვდნენ, ხელახლავ გამოვიდნენ ქუჩაზე წითელი დროშებით და მარსელიეზის სიმღერით. პოლიციამ კაზაკების დახმარებით გაფანტა მანიფესტანტები.

ჩესტახოვი. შუაღამის პირველ საათზე სადგურ ფერბიდგან მოჰქონდათ ტამოჟნის ფული; როდესაც უახლოვდებოდენ სადგურ გნაშინს მატარებელში შვიდი შეიარაღებული კაცი მივარდა კასირს და მოკლა; მოკლეს ზედამხედველიც და ხუთი დარაჯიც. მეზობელ ვაგონში იყვნენ გენერალი ვესტენრიკი და ბრიგადნი გენერალი გრაფი ცუკატო; სროლის გაგონებაზე გამოვიდნენ და აუტეხეს სროლა ბოროტგამზრახველთ, მაგრამ მაშინვე იქნენ მოკლულნი. სროლის დროს მოკლულ იქმნა ერთი უცნობი მუშა. და დაიჭრა რამდენიმე დამსწრე საზოგადებიდგან.

მძარცველებმა მოიტაცეს ყუთი 10,000 მანეთით. გადახტნენ ვაგონიდგან და მიიმალნენ.

ჯოჯნა. ლეივანდის სტამბაში მივიდა ოცი კაცი, მიიტანეს სიონისტ სოციალისტების მიწერილობა და მოსთხოვეს დაბეჭდონ სათათბიროს წევრთა მიერ შედგენილი მოწოდება. პოლიციამ ხელი შეუშალა, დაჭერით კი ვერც ერთი ვერ დაიჭირა.

ბოლტავა. საღამოს გაჩხრიკეს „ბუდკა“ სადაც სელტერის წყალს ჰყიდიან და სადაც იყვნენ თავმოყრილი რევოლიუციონერების — პარტიის ხელმძღვანელნი მათ შორის 18 ჯარის კაცი სევის პოლკისა და ორი არტილერისტი. გაჩხრეკის დროს დაატატიმრეს სევსკის პოლკის ერთი ჯარის კაცი. გაიგეს თუ არა ეს ჯარის კაცების ერთმა ჯგუფმა დაიწყეს აღელვება პირველი ბატალიონის ჯარის კაცებისა. საღამოს 10 საათზე სევსკის პირველი ბატალიონი შეუერთდა ხალხის გროვას და გამოვიდა ქუჩაში. უფროსების დარიგებამ და გაფრთხილებამ არ გასჭრა; ჯარის კაცებმა გასწიეს საარტილერიო კაზარმებისკენ; ძალით შეაბმევინეს ცხენები და არტილერიით მიადგნენ სატუსაღოს სადაც იტანჯებიან პოლიტიკური ტუსაღები, ჯარის უფროსმა გამოიყვანა დანარჩენი ჯარები და იმ ჯგუფს, რომელიც აპირებდა საპყრობილის კარების დამტვრევას, აუტეხა სროლა ჯგუფი დაიშალა, მოკლულია ერთი სალდათი დაჭრილია ოთხი ჯერ ჯერობით საავათმყოფოში მიიყვანეს კერძო ხალხთაგანი ერთი დაჭრილი.

ელიზავეტოპოლი. გუშინ ღამით ქალაქს გარეთ მოხდა შეტაკება პოლიციას და ხალხს შორის, რომელიც მიტინგიდან მოდიოდა პოლიციელებმა ასტეხეს სროლა; დაჭრილია ორი მუშა, დაატუსაღეს 23.

კოსტრომა. გაზეთ „კოსტრომსლოვო“-ს სტამბა გასჩხრიკეს; დაატუსაღეს მმართველი, მექანტორი და სამი ასოთ ამწყობი. სტამბა დაბეჭდეს, და გაზეთი დახურეს.

პეტერბურგი. დღის 1 საათზე შლისელბურგის პროსპექტზე ხულიგანები დახვდნენ ქარხნის დირექტორს ფაინშტეინს, რომელსაც 200 მან. მოჰქონდა მუშათათვის დასარიგებლად, შემოკრეს და მოინდომეს ფულის წართმევა; ამ დროს მოუსწრეს მუშებმა და გადაარჩინეს დირექტორიც და ფულიც, ხულიგანები კი შეიპყრეს.

რედაქტორ-გამომცემელი

ალ. ბ. რუხაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა — ქუთაისში